რევაზ ლორთქიფანიძე

კომპიუტერული თაობა ადამიანის ეკონომიკური კეთილდღეობის დიდი ნახტომისათვის

Computer Generation for the great jump of a human's economic welfare

Компьютерное поколение для большого прыжка экономического благосостояния человека

წმიდა ქაშვეთის ტაძარში მოღვაწე მამა
ღვთისო შალიკაშვილის კურთხევით
2015

თსუ ალ. ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ე.მ.დ. რევაზ ლორთქიფანიძის მეცნიერული შრომა "კომპიუტერული თაობა ადამიანის ეკონომიკური კეთილდღეობის დიდი ნახტომისათვის" წარმოადგენს წმიდა ქაშვეთის ტაძარში მოღვაწე მამა ღვთისოს (შალიკაშვილი) კურთხევით დაწყებული კვლევების გაგრძელებას.

განკუთვნილია სპეციალისტების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი – ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი დ. ჩლაიძე

რეცენზენტები: ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი ს. ფეტელავა;

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეკონომიკურ

მეცნიერებათა აკადადემიის აკადემიკოსი რ. სარჩიმელია

ISBN 978-9941-0-7587-2 (PDF)

ეძღვნება მსოფლიო ომის დასრულების 70-ე წლისთავს

Dedicated to the 70th anniversary of the end of world war

Посвящается 70-летию завершения мировой войны

მსოფლიო ომის დასრულებიდან 70 წლის შემდეგ, როცა კაცობრიობამ უპრეცენდენტოდ დიდი გამოცდილება დააგროვა უმწვავესი მასობრივი ომების მავნეობისა და, მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვებული ქვეყნების (აშშ, დიდი ბრიტანეთი, პოსტსაბჭოთა სივრცე) პროგრესულ სახელმწიფო ძალებსა და სხვადასხვა სფეროში მოღვაწე განსხვავებული ასაკის ადამიანებს მსოფლიო ინტერნეტქსელის საშუალებით არნახული წვლილი შეაქვთ ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში, ჯერ კიდევ ვერ ხერხდება ძალზე სახიფათო სამხედრო კონფლიქტების ერთობლივად სწრაფი შეჩერება. თუმცა, საბედნიეროდ, პროგრესული ძალების სასიკეთო გამთლიანების იმედის ნაპერწკალი სულ უფრო ღვივდება.

ჩვენი კომპიუტერული თაობა მართლა განსაკუთრებით ისტორიულია, ვინაიდან, ინტერნეტქსელის გაჩენით, მნიშვნელოვანწილად ფრაგმენტული ხასიათის კონტინენტურ-კონგლომერატულ ბაზარზე საფუძველი ჩაეყარე მსოფლიო ბაზრის ე.წ. „მთლიანი ორგანიზმის“ ფორმირების პროცესს, მაგრამ, ამ შემთხვევაშიც, მიუხედავად ე.წ. "მსოფლიოს ეკონომიკური ოჯახის" შექმნისა და ტექნიკური სუპერ ძვრებით მსოფლიოს დაწინაურებისა, როცა ეკონომიკური დოვლათის არსებითი მატებისა და ეკონომიკური პროცესების გამჭვირვალობის მნიშვნელოვანი გაფართოების მაგალითებიც მრავლდება, სიღატაკის პრობლემებს ბოლო ვერ ეღება, ვინაიდან, ხელისშემშლელი ფარული ფინანსურ-სამრეწველო მონოპოლიები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ მნიშვნელოვან ძალებს და დოვლათის რაციონალურ გადანაწილებას მნიშვნელოვანწილად აფერხებენ.

მიზანშეწონილად ჩავთვალე, ჩემი პოზიცია გამომეხატა, საკუთრივ, საქართველოს უნიკალური ეკონომიკური პოტენციალის სათანადოდ გამოყენების შესაბამის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, ვინაიდან, საერთაშორისო ფასების ვარდნის პერიოდში, მცირე ქვეყნის ჩვენს პირობებში, საერთაშორისო მონოპოლიებმა შეინარჩუნეს ევროპულთან შედარებითაც კი განსაკუთრებით მაღალი საფასო ინდექსები, მ. შ. ენორგომატარებლებზე [1, გვ. 17], რაც, ფაქტიურად, ანადგურებს ადგილობრივ სამეწარმეო პოტენციალს.

საქართველო და აზერბაიჯანი ერთობლივად ასრულებენ უმნიშვნელოვანეს როლს ევროპის ენორგოუსაფრთხოებაში [2, გვ. 13], მაგარამ ეს არ ნიშნავს, რომ ფარულმა მონოპოლიურმა ძალებმა მონოპოლირად "იღვაწონ" მხოლოდ საკუთარ გამდიდრებასა და ამისათვის სახარბიელო მაკროეკონომიკურ დესტაბილიზაციაზე. მაგალითად, ქართულ ბაზარზე ერთ-ერთმა გაბატონებულმა "სოკარმა" კონკურენტ გაზგასამართ სადგურებს ბუნებრივ აირზე "ფასი გაუზარდა, ხოლო საკუთარ ქსელში საცალო ფასი შეამცირა" [3, გვ. 6], შედეგად, ამ "კლასიკური სქემით, ჩამოიშორა კონკურენტები და განიმტკიცა პოზიციები, რის შემდეგაც პროდუქტი არა ბაზრის პრინციპების თანახმად, არამედ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გააძვირა" [3, იქვე].

საგანგაშოა მდგომარეობა ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო და მანქანათმშენებელ დაარგებშიც, რაც კომპიტერული თაობის ძალისხმევის აუცილებელ გაერთიანებაას მოითხოვს. ჩვენ არ უნდა დავკარგოთ დრო და ენერგია გაუთავებელ და უაზრო "პოპულისტურ" ურთიერთქიშპობაზე და ეს უდიდესი მუხტი ქართული მანქანების გამოშვებაზე დავხარჯოთ, რაც ჩვენ დიდი ხანია საკმაოდ კარგად შეგვიძლია.

საქართველო ისტორიულად ცნობილია სახელგანთქმული პოლიტიკოსების, მეცნიერებისა და სპორტსმენების განსაკუთრებული სიმრავლით, მაგრამ, ამასთანავე, მიუხდავად საკმაოდ მდიდარი სარესურსო პოტენციალისა, ეკონომიკური

დეპრესიიდან გამოსვლა ძალზე გახანგრძლივდა. შედარებისათვის, მოვიყვანოთ აშშ-ს პრაქტიკა, სადაც ნამდვილად სამაგალითოა პოლიტიკაში კანონისა და ურთიერთპატივისცემის განსაკუთრებით მაღალი ხარისხი და მაშინ, როცა ხელისუფლება იცვლება პორალურად განსხვავებული შეხედულებებითაც კი, კანონმდებლობის მიმართ ყველას მაქსიმალური მორჩილება უნარჩუნდება და არავინ ცდილობს კანონმდებლობა საკუთარ ინტერესებში „მოირგოს“. შედეგად, აქ განსაკუთრებით დაბალია სიღარიბის მაჩვენებლები [დანართი], სამაგალითოდ უმჯობესდება მათი დახმარების ხარისხი და გააზრებულად პირდაპირპროპორციულია დამოკიდებულება მიღებულ განათლებასა და ეკონომიკურ შემოსავლებს შორის.

საქართველოში, საყოველთაო ჯანდაცვის რეფორმასთან ერთად, გაჩნდა იმედები, რომ, ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნვასთან ერთად, მაქსიმალურად გამჭვირვალე და ოპერატიული იქნება ზოგადად უკვე ე.წ. ციფრული მთავრობა [4; 5], რომელმაც აუცილებლად სტრატეგიულად გათვლილი ნაბიჯებით უნდა აწარმოოს ეკონომიკის რაციონალური მართვაც.

ზოგი თვლის, რომ ეკონომისტები საერთოდ არ არიან საჭირო და ეს უბადრუკი პროფესია მხოლოდ დემაგოგიას ეწევა. დაბალი კულტურის მატარებელ ასეთ უვიცებს უნდა შევეკითხო - იქნებ არც მხატვრები და მუსიკოსებია საჭირო? ეკონომისტი ხომ ეკონომიკურ სურათს ხატავს და ნოვატორული შემოქმედებითი მენეჯერული უნარებით შესაბამის დასაბუთებულ სტრატეგიებს აყალიბებს, რის გარეშეც წყალში იყრება ტექნიკური და ნებისმიერი სხვა ხანგრძლივი ინტელექტუალური მონაპოვარი.

ამდენად, პატივი ვცეთ ერთმანეთს და ხელიხელჩაკიდებული უშიშრად ერთად ვიბრძოლოთ მავნე მონოპოლიების წინააღმდეგ [6], მ.შ. პოპულარული ინტერნეტქსელებით. ეკონომიკური სტრუქტურის ეფექტიანობის ევროკავშირის მეთოდოლოგიის ჩემი განვითარების შემოთავაზებით, დავასაბუთე ბუნებრივი პრიორიტეტების დამატებითი სტიმულირების აუცილებლობა, რაც აუცილებელია ადამიანის ცხოვრების დონისა და დღეგრძელობის არსებითი ნახტომისათვის.

ადამიანს, დღეგრძელი ბედნიერი ცხოვრებისათვის, ბუნებრივია, უპირველესად, მშვიდი პირობები და ეკონომიკური სტიმულები ესაჭიროება მზარდი შემოსავლების სახით. ყველა კარგად ვიცნობთ ბისმარკისა (გერმანია) და ბევერიჯის (ინგლისი) მოდელებს, სოციალური თანადგომის მედიქეიდისა და მედიქეას პროგრამებს (აშშ), გვახსოვს საბჭოთა სისტემის გარკვეული უპირატესობები და უარყოფითი მხარეები და ხანგრძლივი საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილებების განზოგადების შედეგად [7], მიზანშეწონილად ვთვლი, დავასკვნა, რომ არსებითი (პირველხარისხოვანი) მნიშვნელობა აქვს არა იმას, თუ რომელი წარმატებული ქვეყნის მოდელს გამოვიყენებთ ფორმალურად და მოჩვენებით რა სახელს დავარქმევთ ამა თუ იმ გადასახადს, არამედ რა პროპორციებით გავანაწილებთ საბიუჯეტო რესურსებს და როგორი საშემსრულებლო კულტურა ჩამოყალიბდება ამ პროპორციების შესრულებაში.

ჩვენს სინამდვილეში, მე-20 საუკუნის ბოლო სამი ათწლეულიდან საუკეთესო გამოცდილებების საფუძველზე ჩვენი ექსპერტული შეფასებით, საპენსიო საჭიროებებზე საბიუჯეტო სახსრების დაახლოებით 20% უნდა წარიმართოს, ჯანდაცვაზე კი - 10%, ამასთანავე, ეს თანხები, თავის მხრივ, მაქსიმალურად მიზნობრივად უნდა გამოვიყენოთ ჯანმრთელობის პრობლემების სიმძიმისა და ადამიანის ასაკისა და გაჭირვების დონის პრიორიტეტული პროპორციულობის დაცვით. ჩემი დაკვირვებით, როცა ზემოაღნიშნული პროპორციები ხსენებულზე დაბლა იწევდა, გადაუდებელ საჭროებებზე მწვავე დეფიციტის საფუძველი იქმნებოდა, ხოლო, როცა ნორმატივები ამეტებდა ზემოაღნიშნულს, შედეგად, კორუფციული მიდრეკილებები ღვივდებოდა საერთო გაჭირვების ნოყიერ ფონზე.

ვფიქრობ, რონალდ რეიგანი თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკოსი იყო (არის), რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო ახალი მსოფლიო პოლიტიკური წესრიგის დამყარებაში, მაგრამ მან გარკვეული ხარვეზი დაუშვა თავის ქვეყანაში გადასახადების გადაჭარბებული შემცირების სახით, რამაც შემდგომი მნიშვნელოვანი კრიზისული გართულებები განაპირობა. ამდენად, ჩვენი გადასახადები და ამორტიზაციის ანარიცხებიც, რომლებიც მომეტებულად

უნიფიცირებული ან განთავისუფლებულია, არსებით გადახედვას საჭიროებს განვითარებული ქვეყნების ზომიერ გამოცდილებათა გათვალისწინებით.

წყაროები

1. Energy Prices in Europe. - Financial, 02.02.2015.

2. Georgia, Azerbaijan play important role in Europe's energy security. - Cucasian Business Week, 2015, Issue 88.

3. რა შედეგი მოიტანა "სოკარის" მონოპოლიურმა მდგომარეობამ ბუნებრივი აირის ბაზარზე. - ბანკები და ფინანსები, 2015, N397.

4. რატი აბულაძე, ელექტრონული მთავრობა (სახელმძღვანელო). - თბილისი, უნივერსალი, 2013.

5. რატი აბულაძე, საქართველოს ელექტრონული მთავრობის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია (მონოგრაფია). - თბილისი, 2014.

6. Revaz Lordkipanidze, The Objective Law of Competition, http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/73769, ISBN 978-9941-0-7342-7 (PDF), 2015.

7. რევაზ ლორთქიფანიძე, ხანდაზმული ადამიანის ჯანმრთელობის სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები. - თბილისი, წმინდა ქაშვეთის ტაძარში კურთხევით, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული გვერდი "ივერიელი", http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/86128, ISBN 978-9941-0-7548-3 (PDF), 2015.

დანართი

სიღარიბესთან ბრძოლის თავისებურებები აშშ-სა და საქართველოში
Features of the fight against poverty in the United States and Georgia